

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ზუგდიდის რესტორან "დიარონში" ვახშმობის დროს ჯგუფმა მას ყვირილი დაუწყო. შედეგად პრეზიდენტი და მისი თანმხლები პირები იძულებულნი გახდნენ, რესტორანი დაეტოვებინათ.
რუსული პრესის ინფორმაციით, პრეზიდენტის მკაცრი მოწინააღმდეგეები ორგანიზაცია "დაიცავი საქართველო"-ს წევრები იყვნენ.
აქტივისტების ლიდერმა კახა მიკაიამ განაცხადა, რომ ისინი პრეზიდენტის დევნას გააგრძელებენ: "ის, რაც სააკაშვილმა 9 წლის განმავლობაში საკუთარ ხალხს გაუკეთა, მას საზოგადოებრივ ადგილებში გამოჩენის უფლებას არ აძლევს. სადაც არ უნდა იყოს, ჩვენ მას განვდევნით".